

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების  
დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის ადგილების განმსაზღვრელი  
დროებითი სამუშაო ჯგუფის

ოქმი N 1

ქ. თელავი

2019 წლის 13 ნოემბერი

თავმჯდომარეობდა დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე: დავით ლაღანიძე

ესწრებოდნენ დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები: არჩილ თხლაშიძე, გიორგი  
ჩაბრაშვილი, არჩილ თვალაშვილი, ალექსი  
ძულიაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, გოჩა  
წაწალაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-  
საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე  
ნანა ხვისტანი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია  
„ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე მათა  
მარკოზაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია  
„ქართული ოცნება - მწვანეები“-ს თავმჯდომარის მოადგილე გიგა  
მამუკელაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი  
მოადგილე დავით ბეგიაშვილი, შ.ს.ს. საპატრულო პოლიციის  
დეპარტამენტის კახეთის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით  
მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი დიმიტრი ხიზანიშვილი,  
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი  
მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის  
სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი დავით ქსოვრელიშვილი, თელავის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული  
დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების  
კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე, მოქალაქე მაცა  
მოსიაშვილი.

## დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის ადგილების განმსაზღვრელ დროებით სამუშაო ჯგუფში სპეციალისტების მოწვევის შესახებ.

მომხს. დ. ლაღანიძე

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის ადგილების განმსაზღვრელ დროებით სამუშაო ჯგუფში სპეციალისტების მოწვევის შესახებ.

აზრი გამოთქვას: დავით ლაღანიძემ აღნიშნა, რომ დროებით სამუშაო ჯგუფში მიზანშეწონილია მოწვეული იქნან სპეციალისტები, კერძოდ მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები.

დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი დაეთანხმა დავით ლაღანიძის მოსაზრებას.

გადაწყვიტეს: ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერიას მოავლინოს სპეციალისტები თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის ადგილების განმსაზღვრელ დროებით სამუშაო ჯგუფში.

დროებითი სამუშაო

ჯგუფის თავმჯდომარე:



დავით ლაღანიძე